


# პოლიკარპე კაკაბაძის სახლ-მუზეუმი



**პოლიკარპე კაკაბაძის სახლ-მუზეუმი**, მემორიალური მუზეუმი სოფ. პატარა კუხში (ხონის მუნიციპალიტეტი). დაარსდა 1986, ააიპ (არასამთავრობო, არაკომერციული იური. პირი), ექვემდებარება ხონის სამუზეუმო გაერთიანებას.

მუზეუმში დაცულია პ. კაკაბაძის მემორიალური ნივთები, ხელნაწერები, გამოცემები, ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ფოტო- და დოკუმენტური მასალა, სულ 450-მდე ექსპონატი.

პ. კაკაბაძის სახლ-მუზეუმი

მუზეუმში ყოველწლიურად ეწყობა გამოფენა დრამატურგის დაბადების დღესთან დაკავშირებით. მოწყობა გამოფენა "კაკაბაძეთა გვარის წარმომადგენლები". მოქმედებს საგანმან. პროგრამები: "პოლიკარპე კაკაბაძის შემოქმედება", "თეატრი და ცხოვრება". მუზეუმი გამოსცემს გამკვლევს. ყოველწლიურად მუზეუმს სტუმრობს დაახლ.

625 დამთვალიერებელი.

---